ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, III სართული,
ტელ.: 8250 72401; E-mail: health@tesau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კბილის ტექნიკოსი
პროფესიული განათლების საფეხური	V
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	პროფესიული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	V საფეხურის კბილის ტექნიკოსი
სწავლის ხანგრძლივობა	ერთი წელი
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა	60 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელები	მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი მარადი ბურდული; ტელ: 7-1991, E-mail: health@tesau.edu.ge მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი ნანა ნაცვლიშვილი; ტელ: 7-1559, E-mail: nananatsvlishvili@mail.ru
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	ჯანდაცვის ფაკულტეტი ახორციელებს გაცვლით პროგრამებს ფრაიბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტთან, რაც წინაპირობაა იმისათვის, რომ მოცემული პროგრამით მომზადდება მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების V საფეხურის კბილის ტექნიკოსი, რომელიც დაუფლებული იქნება ორთოპედიული სტომატოლოგიის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორც მოუხსნელი, ასევე მოსახსნელი ორთოპედიული აპარატების შექმნის ხელოვნებას, კერამიკის ტექნოლოგიებს და კომბინირებულ პროთეზირებას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	აქვს კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, იცის საანაბეჭდო და პროთეტიკული ნებისმიერი თანამედროვე მასალის დანიშნულება და გამოყენების მეთოდი. დაუფლებულია ნებისმიერი ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნებას. გაცნობიერებული აქვს სატექნიკო ლაბორატორიისათვის უსაფრთხოების ნორმები. დაუფლებულია მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის საფუძვლებს, და ატარებს სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების საშიშროების ასაცილებელ ღონისძიებებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია: გამოიყენოს თეორიული ცოდნა, ობიექტურად შეაფასოს სამუშაო მოდელზე რაიმე პათოლოგიით განვითარებული კბილების, კბილთა მწკრივებისა და ყბების ალვეოლური ნაწილის დეფექტი და ტექნოლოგიების შერჩევით დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტოს პროფილაქტიკისთვის აუცილებელი საკითხები; სატექნიკო ლაბორატორიის ორგანიზება, სხვისი სამუშაოს დაგეგმვა; კბილების გვირგვინების დეფექტების პროთეზირება ჩანართებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით, ხელოვნური გვირგვინებით, ისეთი მასალების ტექნოლოგიების ცოდნითა და გამოყენებით, როგორებიცაა: ფაიფური, პლასტმასი, ოქრო, ვერცხლი, ფოლადი და ფოლადის შენადნობები, ასევე მათი კომბინაციები;

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, III სართული,
ტელ.: 8250 72401; E-mail: health@tesau.edu.ge

		დაშლილი გვირგვინის რესტავრაცია წკირების დახმარებით; კბილების ნაწილობრივი დაკარგვის დროს კბილთა მწკრივების დეფორმაციების ობიექტური შეფასება და მოუხსნელი ხიდისებური პროთეზებით, ან ნაწილობრივი, მოსახსნელი – ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებით, რეაბილიტაცია; მძიმე დეფორმაციების შემთხვევაში მთლიანი მოსახსნელი პროთეზების, ასევე ორთოდონტიული და ორთოპედიული აპარატების შექმნა.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	უნარი შესწევს ამოიცნოს პრობლემა, დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები და შეადგინოს სამუშაოს შესასრულებლად ალტერნატიული გეგმა. დამაჯერებლად შეუძლია ექიმის ინფორმირება და მასთან შეთანხმება. ანაბეჭდის ექიმისგან მიღების შემდეგ სამუშაო მოდელზე შეუძლია ორიგინალური დასკვნის გაკეთება, მოდელის კრიტიკული შეფასება და, შესაბამისად, ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად სხვადასხვა შესაძლებელი ვარიანტის განხილვა, საბოლოო გეგმის შედგენა და მიღებული შესაძლო შედეგის კრიტიკული ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებთსა და სამედიცინო პერსონალთან, განსაკუთრებით ექიმ სტომატოლოგებთან. განსხვავებულ სიტუაციებში იყენებს სატექნიკო საინფორმაციო ტექნოლოგიებს; აქვს კომპიუტერული ტექნიკის კარგი ცოდნა და შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციის დამუშავება და ანგარიშის წარდგენა.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია წყაროების მოძიება, დამუშავება, მათ შორის უცხოურ ენაზეც, და სწავლის შემდგომი საფეხურისათვის მომზადება.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.	როგორც სამუშაო, ასევე განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს მედიცინის მუშაკის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმების დაცვით: მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, სადავო სიტუაციებში შეუძლია კრიტიკულად მიუდგეს საკუთარ ნამუშევარს, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა, გაითვალისწინოს პაციენტისა და ექიმის შენიშვნები;

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, III სართული,
ტელ.: 8250 72401; E-mail: health@tesau.edu.ge

		აფასებს სხვების დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი, თავისი დამოკიდებულება შეუძლია გაუზიარის სხვას.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით

(A) ფრიადი – მაქს. შეფასება 91% და მეტი, (B) ძალიან კარგი – მაქს. შეფასება 81-90%, (C) კარგი – მაქს შეფასება 71-80%, (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70%, (E) საკმარისი – 51-60%, უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა მაქს. შეფასების 41-50% ეძლევა განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება. (F) ჩაიჭრა მაქს. შეფასება 40% და ნაკლები. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევით. შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედური შეფასება 60%

ბ) დასკვნითი შეფასება 40%

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღეში.

დასაქმების სფერო

სტომატოლოგიური სატექნიკო ლაბორატორია